საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 336 1918 წ. შაბათი ...

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ალიუჩლაღის შეამბოხეებს მთავრობის ზარალის ასანაზღაურებლად 1,800,000 მან. გადასახადი დაადეს. ტეირულის მუშების ხელმეორედ გაფიცვა ... და. ბაქოს გარშემო იქვე ბრძოლაა. სოჭ... საქართველოსთან შეერთებას მოითხოვს. გენ. ალექსეევის ჯარმა მაიკოპი და ბელორეჩინსკაია დაიჭირა.

21 IX

თავზარდაცემულნი დეკანოზი იოსებ და ოლღა პავლეს ასული წერეთლები გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროოდ მიცვალებას უძვირფასესი და დაუვიწყარი შვილის

## ვერა ვარაზაშვილისას

დასაფლავება სოფ. ცხრუკვეთში, ენკენისთვის 21, შაბათს, დილის 11 საათზე 1317.

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი თავზარდაცემული აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ, ამხანაგებსა და მეგობრებს, რომ ენკენისთვის 15-ს, დ. ქიათურაში უდროოდ დაკარგა თვისი უძვირფასესი მეგობარი და მეუღლე

## ვ ე რ ა

დასაფლავება ს. ცხრუკვეთში ენკენისთვის 21-ს, შაბათს, დილის 11 საათზე. 1317

ეროვნული საბჭოს წევრი ალექსანდრე და პორუჩიკი ვლადიმერ იოსების ძე წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებსა და მეგობრებს, რომ ენკენისთვის 15-ს დ. ქიათურაში უდროოდ მიიცვალა მათი ნუგეში სიყრმის მეგობარი და თავდადებული და

## ვ ე რ ა

დასაფლავება ს. ცხრუკვეთში ენკენისთვის 21-ს, შაბათს, დილის 11 საათზე. 1317

სოფრომ და მანიჟან ვარაზაშვილები შვილებით გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი რძალი

## ვერა იოსების ასული ვარაზაშვილისა

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ცხრუკვეთში (შორაპნის მაზრა) სექტემბრის 21 ს შაბათს, დილის 11 საათზე. 2041

ქუთაისის საეპარქიო საბჭო და სასამართლო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას უეცრად გარდაცვალებას

## ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონის

სექტემბრის 18-ს, ნაშუადღევის 1 საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე საარქიელო სახლში სად. 7 საათზე. დაკრძალვა სამშაბათს სექტემბრის 24-ს ქუთაისის საკათედრო ტაძარში 1331

ღრმა მწუხარებით აღვსილნი მეუღლე ელისაბედი, შვილები; სოფიო ჩიქოვანისა, ალექსანდრე, იოსები, ვასო და ვლადიმერი, რძლები! ელენე და ალექსანდრა, შვილიშვილები; ნინო და ელენე ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ სექტემბრის 20-ს დილის 5 საათზე გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

## ფარნაოზ ბარსეგანის ძე ყიფიანი

პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე ნიკოლოზის ქ. № 50. გამოსვენება კვირას, სექტემბრის 22-ს დილის 9 საათზე ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2050

ღრმად დამწუხრებულნი ევა მიხეილის ასული და სიძე ლევან როსტომის ძე კობახიძენი ამით აცხადებენ დღეს სექტემბრის 21 დილის 11 საათზე გარდახდილ იქნება 7 დღის პანაშვიდი კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში

## ვასილ მიხეილის ძე თუხარელის

სულის მოსახსენებლად. 2040

გულ დამწვარნი დედა ნინო, მეუღლე ბარბალე მიხეილის ასული შვილებითურთ, ძმა ნიკოლოოზ ექვთიმეს ძე ნიკოლიშვილები, ცოლის ძმები: ივანე, დავით და ბესარიონ ინაშვილები, ცოლებითურთ, ცოლის დები: მაშო, ნინო, ანიკო, სონა და ქეთევან, დიდ მადლობას სწირავენ იმ პირთ, ვინც მონაწილეობა მიიღო მათ მწუხარებაში, დაესწრნენ

## მღვ. პანტელეიმონ ექვთიმეს ძის

დასაფლავება სოფ. იყალთოში, სექტემბრის 27-ს 2048

ექიმი იასონ ისიდორეს ძე ჟორდანია თავისი პატარა ვაჟით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასისა და დაუვიწყარის მეუღლის

## კატუშა ჟორდანიასი

უდროოდ გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა მოხდება სექტემბრის 21-ს მარტვილის მონასტერში. 2043.

ყვავილის მაღაზია „სოლეილდორი" ძმ მამულოვებისა აუწყებს თავის ნაცნობ-მეგობართ, რომ კვირას, სექტემბრის 22-ს, დღის 12 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა ძვირფასი

## ნინო მგალობლიშვილის

სულის მოსახსენებლად. 2047

განათლების სამინ. უწყებაში მყოფი

## პუშკინის უფლებიანი გიმნაზია

ქალთა და ვაჟთათვის

დაარსებიდან მესამე წელიწადი. არის საანბანო, მოსამზადებელი 1—7 კლასები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ქართულ და სომხურ ენას და ლიტერატურას. მიიღებიან ეგზამენებით და თუ მოწმობა აქვთ უეგზამენოდ. ცნობების და თხოვნების მიღება შეიძლება ძველ შენობაში: პუშკინის ქ. № 4, 10—2 და 5—7 საათამდე. 1318

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სექტემბრის 18-ს

## ვასილ იანეს ძე მრევლიშვილი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ცოლი სოფიო ივანეს ასული მრევლიშვილისა, დედა ეკატერინე იოსების ასული, ძმა იაკობ, დისწული გაბრიელ ონაშვილი, დეიდა ელისაბედ იოსების ასული კოპაძისა, ბიძა გიორგი იოსების ძე მაისურაძე და ბიძის ცოლი მარიამ მიხეილის ასული მაისურაძისა. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ერმიძინის ქ. № 16) წმ. მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე პავლეს ეკლესიის გალავანში

## ქართული კლუბი

კვირას, სექტემბრის 22-ს, დანიშნულია

## ეროვნული კონცერტი

კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილისა

სამს განყოფილებად

სულხანიშვილის ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებულ იქნება ეროვნული ჰიმნები ცნობილ კომპოზიტორებისა, ეროვნული სიმღერები და ბოლოს ჰიმნი „ღმერთო ღმერთო", ჰიმნთა კონკურსზე ყველაზე საუკეთესოდ ცნობილი. ეს ჰიმნი შესრულებულ იქნება სიმებიან ორკესტრით.

კონცერტში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი შულგინისა და ბ. ჭუმბურიძე. დაწვრილებით პროგრამებში. 1329 ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

## სახელმწიფო თეატრი

1918—19 წლის საოპერო სეზონი ნ. ლ. ლევიცკის დირექცია

შაბათს, სექტემბრის 20-ს რიხარდ ვაგნერის

## ტანჰეიზერი

ოპერა 3 მოქმ., 4 სურ. ლევიცკის დადგმით.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვოლ-ლევიცკისა, შვამბერგისა, ვიშემირსკისა, გედევანიშვილისა, გლადინისა; ბ.ბ. კონშინი, მოლჩანოვი, ვრონსკი, ნიკოლსკი, საბინინი, კურბატოვი, ორლოვი.

დირიჟორი: სტოლერმანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს, საღამოს 6 საათიდან სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: კვირას სექტემბრის 22-ს „რიგოლეტო", ორშაბათს 23-ს „ევგენი ონეგინი". 1330



## ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, შაბათს სექტემბრის 21-ს გაიმართება ბენეფისი ადმინისტრატორ პ. ელიზაროვის

## წარმოდგენა

„არტისტიული ხელოვნების თაიგული"

მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები: ზინკოვსკები, ესმერალდა, პეტერსონი, ვუდი და მაი, ნიკოლინი და სხვ. 2030

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი

გამოვიდა № 1.

გაზეთი „კ ლ დ ე" ორგანო

დამოუკიდებელი ნაციონალ დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით.

2037

## ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზია

ამით აცხადებს ქართველ მშობელთა საყურადღებოდ, რომ გაეროვნებულ მოსამზადებელ კლასის ყველა განყოფილებაში თავისუფალი ადგილია. თხოვნების მიღება გაგრძელდება ღვინობისთვის 1-მდის.

დირექტორი ალ. ლორთქიფანიძე. 1333

## ტფილისის მეექვსე გიმნაზიაში

მისაღები, განმეორებითი და მოწმობის მისაღები გამოცდები დაიწყება სექტემბრის 24-დან და გაგრძელდება სექტემბრის 28-დის. დაწვრილებითი ცნობების მიღება გიმნაზიის კანცელარიაში შეიძლება. გიმნაზიასთანავე არსდება მე-8 კლასი. თხოვნები მიიღება ყველა კლასებისათვის 1332

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## გიმნაზია მოზრდილთათვის

(მე-5, 6, 7 და 8 კლ. და მოსამზ.) კიევის უნივ. პრივ.-დოც. ნ. სპილიოტის და გიმნაზიის მასწავლებლის ა. გალობუევის ხელმძღვანელობით. მიღება ყველა კლასში მოწმობებით ან ეგზამენებით. სწავლა იწარმოებს საღამოობით. ვაკანსიები ცოტაა. თხოვნების და ცნობების მიღება 10—2-მდე და 4—7 საათამდე. პუშკინის ქ. № 4 პ. სპილიოტთან. 1319

## საზაფხულო კაფე-რესტორანი „ამირანი"

(ვერის დაღმართი, მელიქ-აზარიანცის ბაღი)

ღიაა დილის 10 საათიდან ღამის 11 საათამდე, საუზმე, სადილი, ვახშამი, ჩაი, ყავა და სხვ. სამშაბათობით და პირასკეობით უკრავს საზანდარი. ოთხშაბათობით და შაბათობით ველიკორუსული ორკესტრი შჩეგლოვის ლოტბარობით კვირადღეობით აზიური სადილი და საზანდარი. 2042

## განცხადება

ქართულ დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინიგზის სამართველო აუწყებს უკვე შემდგარ არტელს, ანუ პირთ რომლებსაც შეუძლიანთ შეადგინონ პასუხისმგებელი და ძლიერი არტელი სათანადო წინდით. არტელმა უნდა აწარმოოს, როგორც მთავარი ისე ლიანდაგის საწყობების საქმეები და გაგზავნა სხვა და სხვა მასალებისა საწყობებიდანა. გარდა ამის არტელმა უნდა იყოლიოს სამყოფი რიცხვი არტელჩიკებისა, კლადოვჩიკებისა, მათ თანაშემწეებისა, მასალის დამტარებელისა, დარაჯებისა და მუშებისა; სურვილის განზრახვა უნდა შემოიტანონ სამასალო სამსახურში არა უგვიანეს სექტემბრის 25-სა 1918 წ. დღის 12 საათამდის. ლებუმფროსთან ყოველპირობები ჩაბარებისა შეიძლება გაიგონ სამასალო სამსახურის დაწვრილით დღე 9—3-ს დღისა გარდა უქმეებისა. 1326

## მისაღები

გამოცდები ტფილისის რეალურ სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ ოთხ კლასებში განიგრძობა. სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. 2049

## ტფილისი, სექტემბრის 21.

**ჩვენ და ამიერ-კავკასია**

გუშინ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის დიდი ამბავი, როგორიც არის რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. პირველი ცნობა ამის შესახებ ჩვენ წავიკითხეთ რუსეთიდან მოსულ გაზეთებში, სადაც ეს ამბავი გადმობეჭდილი იყო გერმანულ გაზეთიდან. შემდეგ ჩვენ მივიღეთ უკვე ოფიციალური ცნობა სტამბოლიდან, ხოლო სექტემბრის 19-ს საღამოს ბერლინიდან აკაკი ჩხენკელის შემდეგი დეპეშა მოვიდა: რუსეთმა და გერმანიამ სექტემბრის 6-ს რატიფიკაციები გაუგზავნეს ერთმანეთს, რომლითაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება—მომხდარი ფაქტია. ყოველგვარმა ჩემმა ცდამ, რათა ასევე აღიარებული ყოფილიყო ჩვენი მეზობლების დამოუკიდებლობა—ამაოდ ჩაიარა.

დამოუკიდებლობის აღიარების მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი გაურკვეველი საერთაშორისო მდგომარეობა დღეს ნათელია და ჩვენ უკვე შევდივართ კაცობრიობის წრეში როგორც თანასწორი მისი წევრი, თავისუფალი სახელმწიფო. დღეს გვინდა კიდევ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მეზობლების თაობაზე.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებით მუხლებში სრულიად არაფერია ნათქვამი სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა შესახებ, ხოლო აკ. ჩხენკელი იტყობინება: ცდამ მათ დამოუკიდებლობის აღიარებასათვის, ამაოდ ჩაიარა. ეს ძლიერ სამწუხაროა. თუ ნამდვილად ბოლოს და ბოლოს რუსეთმა და ოსმალეთმა არ აღიარეს მათი დამოუკიდებლობა—ჩვენთვის, როგორც ერთად-ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოსათვის ამიერ-კავკასიაში—უხერხული მდგომარეობა შეიქმნება, რაიცა ერთნაირ ხიფათში აგდებს ჩვენს მომავალს. ორნაირი შესაძლებლობა მოსალოდნელი: ან რუსეთმა და ოსმალეთმა შეთანხმებით უნდა აღიარონ სომხეთ—ადერბეიჯანის რესპუბლიკები, ან ოსმალეთმა მათი სრული ოკუპაცია უნდა მოახდინოს, რაიცა ოსმალეთისათვის ადვილი საქმეა. არის მესამე შესაძლებლობაც—ეს რუსეთის მიერ ამიერ-კავკასიის (საქართველოს გამოკლებით) უკან დაბრუნება, მაგრამ რუსეთის სამსედრო მდგომარეობის გამო დღეს ამის ლაპარაკიც შეუძლებელია. თუ დამოუკიდებლობა სომხეთისა და ადერბეიჯანისა აღიარებულ იქმნა—ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, როგორც აწმყოსა, ისე მომავალში. ჩვენ ეხლაც და წარსულშიაც ამ რესპუბლიკებთან ბევრი გვქონდა საერთო. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენ ფინანსიურად გადაჯაჭულნი ვართ დღევანდლამდე. მკითხველებმა იციან, რომ ამიერკავკასიის მთლიანობის დროს გამოცემული იყო ბონები, რომლის განაღდების მონაწილეობის მიღებაზე ადერბეიჯანმა უარი სთქვა. მაგრამ თუ იგი დამოუკიდებელი იქნება, უეჭველია იძულებული გახდება ვალის მონაწილე გახდეს, მეორე რესპუბლიკას—სომხეთს. ჩვენ უკანასკნელ დროს შევუთანხმდით იმავე ბონების გამოცემისათვის და გადავეცით კიდევაც ოთხმოცი მილიონი მანეთი. თუ მისი არსებობა, სახელმწიფოს, უზრუნველყოფილი ... იქნება—ეს ფული საქართველოსთვის დაკარგულად ჩაითვლება. გა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამისა, ჩვენი საბოლოო მიზანი, პრინციპი ერთა სოლიდარობისა და ფედერაციისა მოითხოვს, რომ ჩვენი მეზობლები თავისუფალნი იყვნენ, რათა გაგვიადვილდეს მათთან თავისუფალ კავშირის შექმნა. თუ რუსეთმა არ აღიარა სომხეთ ადერბეიჯანის რესპუბლიკები, ოსმალეთი, შესაძლოა ბოლოს და ბოლოს, თუ გერმანიამ ხელი არ შეუშალა — მთელი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას დაიპყრობს. ცხადია, რა დიდი საფრთხე მოელის ჩვენს დამოუკიდებლობას, თუ კი ოსმალეთის ურდოები და მისი ამყოლი მაჰმადიანები შემოგვერტყნენ დასავლეთ-აღმოსავლეთ-სამხრეთით. ჩვენ მუდმივ შიშში ვიქნებით და მუდმივ თოფ-იარაღში ჩამჯდარნი, ამიტომ, ვიმეორებთ, ფრიად სამწუხაროა, რომ სომხეთ ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია. რასაკვირველია, საკითხი საბოლოოდ გამორკვეულად არ შეიძლება ჩაითვალოს და ყოველ ცდას ამ ორი რესპუბლიკისას, რომ მათი უფლება შელახული არ იყოს თავისუფალი საქართველო სიამოვნებით შეხვდება და თუ შესძლო — დაეხმარება კიდევაც. ამას მოითხოვს ჩვენი ინტერესები და მომავლის იდეალი ერთა ძმობა ერთობის და სოლიდარობისა.

## ქართული პრესა

გაზეთ „ერთობაში“ მუშა ანანია ეხება ტყიბულის მუშების მიერ გამოცხადებულ გაფიცვას. დეპეშებმა უკვე მოგვიტანეს ცნობა, რომ გაფიცვა გათავებულა და მუშები უკვე შესდგომიან შრომას. მაგრამ მაინც საინტერესოა ის, რასაც მოქ. ანანია გვეუბნება. იგი სწერს:

გაფიცვა მოახდინეს მათ, თუ არ ვცდებით, ამ ერთი თვის წინად და მთავრობამ. რამდენადაც კი შეეძლო დააკმაყოფილა მათი დროს და გარემოების შეუფერებელი ეკონომიური მოთხოვნები.

დღეს ისინი ხელ-ახლად გაფიცულან და მეტად შეუსაბამო მოთხოვნები წამოუყენებიათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ხელფასის მომატებასთან ერთად მოითხოვენ სხვა და სხვა საგნების ნატურით გაცემას, რაიც მთელ რესპუბლიკაში მეტად ძნელი საშოვარია.

ჩვენ არას ვიტყვით ხელფასის უზომო რაოდენობაზე, ვინაიდან ყველასთვის ცხადია, რომ თვით ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოება ხარჯებს ვერ ფარავს და მუშების ხელფასის გასტუმრება რესპუბლიკის ხაზინიდან უნდა მოხდეს.

როცა ესა თუ ის წარმოება თავის ხარჯებს ვერ ფარავს და მუშების ზედმეტი ხელფასი სახელმწიფო კასიდან უნდა გაისტუმროს, ეს იმას ნიშნავს, რომ ტყიბულის მუშები სახელმწიფოს პენსიონერები, ინვალიდები ხდებიან და ისინი საზოგადოების ხარჯზე უნდა იკვებებოდნენ.

ამ შემთხვევაში ისინი დანარჩენ მოქალაქეებს, განსაკუთრებით მუშებს პირიდან ლუკმას სტაცებენ. შემოსავალი, რომელიც საზოგადოდ მცხოვრებთა მოთხოვნილების თანასწორ დაკმაყოფილებას უნდა მოხმარდეს, მათ მიაქვთ. ჩნდებიან პრივილეგიური მუშები, მუშების არისტოკრატია, რომლებიც დანარჩენი მუშების ხარჯზე სცდილობენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს სხვისი ნაშრომის მითვისებაა.

როცა კერძო წარმოება საწარმოვო ხარჯებს ვერ ფარავს, მაშინ მწარმოებელი, — ფაბრიკა-ქარხნის პატრონი, თავისი წარმოების ლიკვიდაციას ახდენს, წარმოებას ხურავს შეგნებული მუშათა კლასი დამქირავებელს ჩვეულებრივ, თავის მიერ შექმნილ ზედ-მეტ ღირებულებას ედავება და ამ ნიადაგზე ჩაღდება ეკონომიური ბრძოლა, მაგრამ როცა ის ამ ჩარჩოებს შორდება და წარმოების შეუფერებელ მოთხოვნებს აყენებს, ასეთ მუშებს, ფრიდრიხ ენგელსი სამართლიანად უწოდებდა მუშათა კლასის მოღალატეებს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ტყიბულის მუშების მდგომარეობა და მათი თავხედობა იმით არის სავალალო და გასაკიცხი, რომ ისინი კერძო კაპიტალისტების მიერ კი არ არიან დაქირავებული, არამედ — სახელმწიფოს მიერ; ისინი სახელმწიფოს წარმოებაში მუშაობენ მათ ეტყობა, იმის იმედი აქვთ, მთავრობა აქ თუ ზარალობს და მუშების ზედ-მეტ მოთხოვნებს ტყიბულის წარმოებიდან ვერ აკმაყოფილებს, შეუძლიან სახელმწიფო კასიდან მისცეს და ამ გზით დააკმაყოფილოს მათი პრივილეგიური მოთხოვნები.

ნუ თუ ტყიბულის მუშებმა არ იციან, რომ სახელმწიფოს ხალხიდან აღებული ქონება აქვს თავის კასაში მოგროვილი და აქიდან მოკლებული ხალხს უნდა მოაკლდეს? მერე რა სამართალია, რომ მოქალაქემ ამ საერთო სიდუხჭირის ხანაში კიდევ უნდა მოიკლოს რაიმე და ტყიბულის მუშებს კი ზედმეტი ხელფასი, ზედმეტი შაქარი, პური და სხვა ასეთები მისცეს.

## უკანასკნელი ცნობები

### ბ ა ქ ო.

**სტამბოლი.** 9 19. აქ მოსული ცნობებით ინგლისელთა რაზმი, რომელნიც სპარსეთიდან ბაქოში ჩამოვიდნენ, რამდენიმე ათასით გაიზარდა. მათ გარეკეს საბჭოთა მთავრობა და სოც.-რ. მართველობა დააწესეს. ინგლისელების განსადევნად კავკასიის ადერბეიჯანის თათართაგან მოხალისე რაზმები შესდგა, რომელთაც ბაქოზე იერიში მიიტანეს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ რაზმებმა ინგლისელები დაამარცხეს და ქალაქიც აიღეს.

**ტყიბულის მაღაროებში.**

**ტფილისი.** 9—20. ტყიბულიდან იტყობინებიან, რომ ქვა ნახშირის მაღაროებში მუშათა გაფიცვები დამთავრდა. მუშები დასთანხმდნენ მთავრობის მიერ წამოყენებულ პირობებზე და მუშაობასაც შეუდგნენ.

**ოსეთში.**

ოსების ყრილობა იტყობინება, რომ მთელი ოსეთის მცხოვრებნი თანახმა არიან იარაღი აიყარონ და კიდევაც იყრის იარაღს. ამჟამად ოსეთში სრული სიწყნარეა და წესიერებაა.

**გემების დაღუპვა.**

**ბერლინი.** 9—19. ოფიციალური. ინგლისის იმ ზონაში, სადაც ბლოკადა არის გამოცხადებული, ჩვენმა წყალ-ქვეშა ნავებმა დაღუპეს გემები, სულ 29.000 ტონის სიდიდისა.

## ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი.** 9—19. კრონპრინცის რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. ბიქს-ნოოტეს ჩრდილოეთით გავწმინდეთ თხრილების ნაწილი, მტერს რომ დაუტევეთ 11 სექტემბრის ბრძოლის შემდეგ, და 136 ბელგიელი დავატყვევეთ. იპრსა და ლაბასეს შუა ზვერვა სწარმოებს მევრისა და გავრინკურტის სექტორში სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. არმანტიერის ჩრდილოეთით და ლაბასის არხის სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ინგლისელებმა კვლავ მოიტანეს იერიშები ჩვენი პოზიციების წინ ამ სექტორში, გავრინკურტის ტყეებსა და სომას შუა რომ არის. გერმანიის მსროლელთა პოლკი გუზოკურტს იცავდა. გუზოკურტსა და სარჟიკურტს შუა ინგლისელები მოვიგერიეთ. სარჟიკურტსა და პონტრის შუა ავსტრალიელები ჩვენს პოზიციებში შემოიჭრნენ. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენ მტერი შევაჩერეთ, სარჟიკურტსა და პონტრიზე ბელიკურტ-ბელენგლიზის დასავლეთით რომ მოიწევდა. ამინიონის მდინარესა და სომას შუა ინგლისელებს იერიშები მოაქვთ ფრანგებთან ერთად. ინგლისელებმა დიდი ძალები მოიშველიეს და ჩვენი ხაზების გარღვევას ლამობდნენ სენ-ევენტინთან და მის ჩრდილოეთით. ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა და ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა მტერი უკან იქმნა გარეკილი. აღმოსავლეთ პრუსიის პოლკებმა და ელზას-[illegible]ნის მე-80 პოლკმა ისახელეს აქ [illegible] 35 კილომეტრის საიერიშო ფრონტზე მტერს 15 დივიზია ჰყავს.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი.** ელეტსა და ენს შუა საარტილერიო ბრძოლა განსხვავდა ნაშუადღევს. ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები, ლაფოშავილიონის ორივე მხრით რომ მოიტანა

**ჰალვაცის ლაშქარი.** კოტლორესთან ბრძოლა გაძლიერდა. უმნიშვნელო სააავანპოსტო ბრძოლა სწარმოებს. მანხეუტლზე იერიში მოვიტანეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

**ბერლინი.** 9—19. საღამოს ცნობა გავრინკურტსა და სომას შუა ინგლისელებმა იერიშები მოიტანეს: ჩვენ იგინი გავრეკეთ.

**პარიზი.** 9—19, უკანასკნელი დღის განმავლობაში ფრანგები განაგრძობდნენ იერიშებს სენოკვენტის სამხრეთ-დასავლეთით, მიუხედავად გერმანელების სასტიკი წინააღმდეგობისა, თავის მონაპოვარნი გააფართოვეს

მათ გადალახეს კონტესკურტი და კოსტრილაიბურეს. შემდეგ სამხრეთით მათ თავისი ხაზები ზენეამდე დასწიეს ჟუის დასავლეთით, ცემზე, გერმანელების კონტრ-იერიშები დამარცხდა ფრანგებმა გერმანელების ყოველი ცდა დაამარცხეს და 1000 ტყვე წამოიყვანეს.

**ამერიკელების ცნობა.** 9—19. ვოვრში ჩვენები გერმანელების თხრილებს დაეცნენ და 50 ტყვე წამოიყვანეს.

## ზავის გარშემო

**უკრაინა.** (გერმანიის რადიო ცნობა, ნიკოლოზის სადგური) უკრაინის მინისტრთა საბჭოს 17 სექტემბრის სხდომაზე განიხილა ავსტრიის საზავო ნოტა და დაადგინა: უკრაინამ თავისი მხრით ნოტა დაუგზავნოს მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოებს, რომ იგი სავსებით ეთანხმება ავსტრიის გამოსვლას.

**ევროპის პრესა** (გერმანიის რადიო-ცნობა, 9—19, ოსმანიეს რადიო სადგურიდან). ნორვეგიის პრესა ავსტრიის ნოტის შესახებ ამბობს, რომ ნეიტრალური სახელმწიფოები მხარს დაუჭერენ ამ საზავო წინადადებას.

შვეციის პრესა ამბობს: მოკავშირე სახელმწიფოებში ბნელი ზრახვების გამღიზიანებელნი ავსტრიის წინადადებაში მის შინაგან დასუსტებას ხედავენ, მაგრამ ეს უსაფუძვლო იმედები და ანგარიშია. გერმანიის ხალხი არ დაუშვებს რღვევასა და გახრწნას.

დანიის პრესა სკეპტიკურად უყურებს ავსტრიის საზავო წინადადების გამარჯვებას, მაგრამ სცნობს. რომ ბურიანის მეთოდი თანამედროვე პირობებში ერთად-ერთი მეთოდია, რომელსაც შეუძლიან ზავის ჩამოგდებამდე მიგვიყვანოს.

პოლონეთის პრესა ზავის მოახლოვების საიმედო ნიშნებსა ჰხედავს ნოტაში და ფიქრობს, რომ საზავო ნოტის პასუხი უნდა იყოს ნათელი და [illegible]ლი.

შვეიცარიის პრესის აზრით ზავი ბედი დამოკიდებულია ვილსონზე.

იტალიის პრესა ფრთხილად უდგება საკითხს და აღიარებს მის დიდ მნიშვნელობას.

ინგლისის გაზეთების აზრით არავითარი საბუთი არ არის იმისათვის, რომ საზავო წინადადება უარყოს. ინგლისში ფიქრობენ, რომ ავსტრიის წინადადებაში გერმანიაც იღებს მონაწილეობას. საერთოდ, ინგლისის გაზეთები დიდ სიფრთხილეს იჩენენ.

ფრანგული ფურცლები უგულოდ იხილავენ ავსტრიის წინადადებას, რომლის განხორციელებას ასე ფლიდად იტრფის გერმანია.

ამერიკელები არ არიან საზავო წინადადების თანახმა და პროპაგანდას ეწევიან ომი ბოლომდეო. ვილსონი სტატს-სეკრეტრის საშუალებით განმარტავს, ამერიკამ უკვე წამოაყენა ის პირობები, რომლითაც მას შეუძლია საზავო მოლაპარაკება დაიწყოსო. არავითარ სხვა წინადადებას ამერიკა არ სცნობსო

## უცხოეთი

**ლონდონი.** 9—17. გუშინ დაიწყო მუშათა თათბირი. თავმჯდომარეობს გენდერსონი, ფრანგ-ბელგიელთა პროფეს. კავშირთა წარმომადგენელნი ხიცმანლენგეტი, ტომას ჟელინჰაუზი და მერსენიე, ამერიკელთა წარმომადგენელნი ჰომბერტი და ფრეიბურგი, იტალიელთა — სოსტრო, ბრიტანელთა — გოსლინი და გიურხინი.

მოსკოვიდან იტყობინებიან, არხანგელსკის ბოლშევიკები დამარცხდნენ და თავზარდაცემულნი გარბიან. ოფიცრები ინგლისელებს უერთდებიან.

**ბერლინი.** 9—17. „ნორდეიტშე ალგემაინე-ცაიტუნგში“ მოთავსებულია ნაწილი ავსტრიის საზავო წინადადების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ავსტრიის მთავრობის ნოტა კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს გერმანელი ხალხის მიერ გამოთქმულ წრფელ სურვილს მშვიდობიანობის დამყარებისა. ცხადია, რომ მოკავშირეთა მიერ გადადგმული ნაბიჯი არა, თუ თანაგრძნობას პოულობს გერმანიაში, არამედ ის სავსებით შეესაბამება გერმანიის სურვილ-მისწრაფებათ. თუ კიდევ გვეპარება ეჭვი ამ ახალი ცდის გამარჯვებაშიო — სწერს გაზეთი, ეს მხოლოდ იმიტომ რომ ჩვენი ყოველი ცდა — მშვიდობიანი გზით გაგვეთავებინა ევროპისათვის განმანადგურებელი ომი — მუდამ მარცხდებოდა და თანაგრძნობას ვერ პოულობდა.

**ვენა.** 9—17. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ გრაფ ბურიანმა თავისი გამოსვლის წინ ავსტრიის მოკავშირეებს აცნობა ყველაფერი და თუ მან თავის თავზე იდვა მოლაპარაკების ინიციატივა, გადაწყვეტილი მაინც იყო, რომ ორივე მოკავშირე სახელმწიფო წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ მოწინააღმდეგე კოალიცია კონფერენციის მოწვევას მოისურვებდა. თუ ამ ნაბიჯში ავსტრიის სეპარატიულ მოქმედებას ხედავენ, ეს სრული შეცდომაა, რადგან ავსტრია-ჰუნგრეთი მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიასა და სხვა მოკავშირეებთან და მათთან ერთად იზრუნებს პასუხისმგებლობას თავის მოქმედებაში.

„იზვესტია“ გადმოგვცემს „ტაშკენტის გაზეთის“ ცნობას, რომ უწინ მდი-

## აგრარული თეორია

### დასკვნებისათვის.

[illegible]ევროპის სოფლის კულტურა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოებში სავსებით ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობაში წვრილი წარმოება იმარჯვებს მსხვილ წარმოების მაგიერ, რომ ადამიანის გონება, ფიზიკური ენერგია და თვით აგრარული კაპიტალიზმის ფილოსოფია რაციონალურად სცნობს და ამართლებს წვრილ წარმოებას აგრარულ კაპიტალიზმის ასეთი შინაარსი უცნობი იყო მარქსისათვის, რომელსაც ობიექტიურ პირობებისა გამო არ შეეძლო ასეთ დებულებამდე მისულიყო, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის უდიდესი ეკონომისტი — ადამ სმიტი საერთოდ სისწორით ჭვრეტდა სოფლის წარმოების თავისებურ ძალას და მიუხედავად იმისა, რომ იგი თაყვანსა სცემდა ინდუსტრიალურ კაპიტალიზმს და მსხვილ წარმოებას, მაინც გვეუბნებოდა: „საკმაოა შევადაროთ შოტლანდიის და ინგლისის მსხვილი მიწისმფლობელობის მდგომარეობა წვრილ მესაკუთრეთა მფლობელებს, რომ სხვა საბუთების დაუხმარებლად ვსთქვათ თუ რამდენად ნაკლებად გამოსადეგია მიწის მსხვილი მფლობელობი მიწადმოქმედების განსავითარებლად[51]. “ იგივე სმიტი ხალხთა გადასახლების ისტორიას იგონებს და ამ მიზეზით შექმნილ მსხვილ მიწისმფლობელობას აღიარებს ყოველგვარ უბედურების წყაროდ[52]). ამნაირად ადამ სმიტი საკითხს ფართოდ აყენებს და საზოგადოდ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ფაქტორად სახავს წვრილ მიწისმფლობელობას და ამ ნიადაგზე აღმოცენებულ წვრილ მეურნეობას. სმიტის აბსტრაქცია არსებითად მიღებული აქვს თანამედროვე მწერალს, კრიტიკულ მარქსიზმის წარმომადგენელს — ლიაშჩენკოს, რომელმაც სმიტის ზოგადი დებულება დამოუკიდებლად ჩამოაყალიბა მეურნეობის განვითარების კლასიფიკაციაში, სადაც წვრილი მეურნეობა მიჩნეულია მარადიულ ძალად. ლიაშჩენკოს შემეცნებით ყოველ დროის ყველა დარგის წარმოებაში სოფლის მეურნეობაშიაც არსებობს წვრილი წარმოებაც და მსხვილიც, მაგრამ პირველ ყოფილ საზოგადოებიდანვე წვრილ წარმოებას მთლიანი და საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. სიტყვაზე კარგად თვით სქემა გველაპარაკება და აი სქემაც:

| | |
|---|---|
| წარმოების არა კაპიტალისტური ფორმები | პირველყოფილი სამოდგამო და საოჯახო მეურნეობა; მსხვილი ბატონყმური ნატურალური მეურნეობა; წვრილი სასოფლო-ნატურალური მეურნეობა |
| მეურნეობის გარდ. მავალი ფორმები კაპიტალისტურ წარმოების მხრივ | იჯარა და ნახევრობად მუშაობა; სახელოსნო ტიპის მეურნეობა; მეურნეობა ვაჭრობის დანიშნულ. |
| [illegible]წარმოების კაპიტალისტური ფორმა | კაპ. იჯარა სამიწადმოქმ.; კაპ. მეურნეობა; წვრილი კაპიტალისტ. მეურნეობა |

ამ სქემაში[53] წვრილ მეურნეობას მარქსისათვის არაჩვეულებრივი საპატიო ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ ამ გარემოებას სათანადო ასახსნელიც აქვს. ბ-ნ ლიაშჩენკოს შემეცნებას, როგორც ახლო წარსულის შემეცნებას, რასაც მარქსისტთა შორის დღესაც აქვს გასავალი. ჩვენ რამდენადმე დაწვრილებით უნდა შევეხოთ ლიაშჩენკოს სქემაში წვრილ სასოფლო მეურნეობას მარადიული ხასიათი აქვს. ეს იმიტომ მოხდა, რომ სოფლის მეურნეობას კაპიტალიზაციისათვის დამახასიათებელი თვისება არც მსხვილ მეურნეობას აქვს და არც წვრილს, მხედველობაში მისაღებია ბაზრის პირობები და საზოგადოდ კაპიტალის ზეგავლენა[54]) ასეთი მნიშვნელოვან შესწორების შეტანა მარქსისტულ ფილოსოფიაში ყირამალად აღრიალებს ორტოდოქსალურ მარქსიზმს მაგრამ შევეხოთ ეხლა თვით ბაზრის პრობლემას, რომელსაც უაღრეს ყურადღებას აქცევს ლიაშჩენკო და მისი აზრით ხასიათს უცვლის თვით წარმოებას.

ბაზრის პრობლემა, უკეთ მსოფლიო ბაზრის საკითხი, ჩვენ მიერ მოყვანილ მარქსის ტიპის ერთი საკითხთაგანია, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ ძალთა-განწყობილებას ახასიათებს. ეკონომიურ მოვლენების შესწავლისთვის ეკონომისტი მოვალეა ბაზრის პირობებს დიდი ყურადღება მიაქციოს, მაგრამ შევცდებით მარტო ბაზრის კონიუნქტურით ავხსნათ ყოველივე რასაც ლიაშჩენკო შვრება. ბაზრის საკითხი ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლის, გასაღების პრობლემაა და თუ მარტო, ან უმთავრესად მოვლენის ამ მხარეს მივაქციეთ ყურადღება დიდ შეცდომას ჩავიდენთ, ვინაიდან ეხლა ყველასათვის ცნობილია, რომ ბაზარი და გაცვლა-გამოცვლა კაცობრიობის არსებობის ყოველ ხანაში არსებობდა და ამას ვხედავდით იმ დროსაც, როდესაც მეურნეობას პირადი ან ოჯახის მოხმარების ხასიათი, მიზანი ჰქონდა საკითხის ამ მხარეს სათანადო ყურადღება მიაქცია ოგანოვსკიმ, რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ მიწის მუშის წარმოებას ყოველთვის გამოკვეთის ხასიათი ჰქონდა, ეხლაც აქვს და ძველ დროში სხვისთვის მიწის მუშა უფრო ბევრსაც შრომობდა და აკეთებდა ვიდრე თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში. მაგრამ ოგანოვსკის მეცნიერულ დასკვნებსაც რომ უყურადღებოდ მოვეპყრათ და წარმოვიდგინოთ. რომ ბაზარი და საბაზრო ნივთები მხოლოდ კაპიტალიზმის წიაღში აღმოცენდა, იმ შემთხვევაშიაც იძულებული ვიქნებით დარწმუნებით ვსთქვათ, რომ თანამედროვე ბაზარი ქალაქის, ესე იგი ინდუსტრიალურ კაპიტალიზმისათვის სხვა მნიშვნელობის არის და აგრარულ კაპიტალიზმისათვის კიდევ სხვა მნიშვნელობის.

სრული ჭეშმარიტებაა: კაპიტალიზმის ფილოსოფია მარტო წარმოების, სიმდიდრის შექმნის პროცესში როდი გამოიხატება, მხედველობაში უნდა მივიღოთ ნაწარმოების გასაღებისა და ზედმეტ სარგებლის საქმეებიც. კაპიტალიზმის ეს სტიმული ხორციელდება მსოფლიო ბაზრის იდეოლოგიით და უნდა აქვე ვაღიაროთ: აქაც სოფელი და სოფლის მეურნეობა, აგრარული კაპიტალიზმი სრულიად თავისებურ მდგომარეობაში იმყოფება და ვერ ამართლებს ინდუსტრიალურ კაპიტალიზმის იმანენტურ კანონებს, მარქსისტულ შაბლონებს. „კაპიტალი“-ს მეორე ტომში, სადაც კ. მარქსი იკვლევს კაპიტალიზმისათვის კაპიტალის ბრუნვის პროცესს და მის მნიშვნელობას, ავტორი ეხება თვით იმ საქონლის შინაგან ბუნებას, რომელიც ხდება ბაზარში გატანის ობიექტად. საქონელი იმდენად მეტ სარგებელს იძლევა კაპიტალისათვის, რამდენჯერაც იგი ტრიალებს, ესე იგი ბრუნავს, გადად-გადმოდის გადამცვლელთა შორის მაგრამ ამ პროცესის შესასრულებლად მიუცილებლად საჭიროა საქონელს ერთი თვისება უეჭველად ჰქონდეს: გამძლეობა, რათა მოკლე ხნის განმავლობაში არ გაფუჭდეს. კ. მარქსი ამბობს: „რამდენადაც საქონელი გამძლეობას მოკლებულია, იმდენად ის მოკლე ვადაში უნდა იქმნას მოხმარებული, ესე იგი წარმოების შემდეგ გასაღებული, გაყიდული, იმდენადვე მოკლე მანძილით შეგვიძლიან მოვაშოროთ საქონელი იმ ადგილს, სადაც ის შექმნილა. ამიტომ, რამდენადაც მალე ფუჭდება საქონელი, იმდენადვე განსაზღვრულია მისი ტრიალი, იმდენად ნაკლებად გამოსადეგია იგი კაპიტალისტურ წარმოებისათვის“.*) რა საქონელია „კაპიტალისტურ წარმოებასათვის ნაკლებად გამოსადეგი? ამაზე მხოლოდ ერთი გარკვეული და გადაჭრილი პასუხი შეგვიძლია გავსცეთ: ასეთი საქონელი სოფლის წარმოების ნაყოფია, რისთვისაც მსოფლიოს ბაზარში სოფლის მეურნეობას სრულიად თავისებური ადგილი უჭირავს და მსოფლიო ბაზარს თავის კანონებს უკარნახებს. ბაზრის პირობებით არსებულ სოფლის მეურნეობის თავისებურ მდგომა-

[51]) იხ. სმიტის თხზ. ტ. 2, გვ. 176

[52]) სმიტის თხზულება, ტ. 2, წიგნი 3, გვ. 171.

[53]) იხ. ლიაშჩენკოს „რუსეთის აგრარულ ევოლიუციის მიმოხილვა

*) იხ. მარქსის „კაპიტალი“ ტ. მე-2, გვ. 00.

დარი ხივა ამ ჟამად სრულებით განადგურებულია ჯაჩაღთა ბრბოების მიერ. მრავალი იქიდან ლტოლვილი ალექსანდროვკაშია

თურქისტანის საქმეებზე გაზეთები გადმოგვცემენ, რომ მერვი საბჭოთა ჯარმა აიღო. სამარკანდის მახლობლად ინგლისელთა და თეთრი გვარდიის მთავარი ბანაკია და იქ ბრძოლა სწარმოებს შირვანთან 1000 ინგლისელია, მეტწილად ინდოელები, რომელნიც სპარსეთითა და ავღანისტანით მოიყვანეს. იქ. თურქისტანში ხალხი საბჭოთა მთავრობის მხარესაა. ბუხარის ემირს კავშირის დაჭერა უხდება საბჭოთა მთავრობასთან, რადგან ბეები მას არ ემორჩილებიან

**გერმანიის რადიო ცნობები.** (მიღებულია ნიკოლოზის რადიო-სადგურიდან).

„კიევსკაია მისლი" იუწყება, რომ უკრაინის მინისტრთა საბჭომ, სექტემბრის 16 სხდომაზე დაადგინა პროტესტი განაცხადოს ბოლშევიკების საზარელ მოქმედების წინააღმდეგ რუსეთში პროტესტის ტექსტი გამოქვეყნდება, როდესაც იგი საბოლოოდ შემუშავებული იქნება.

უკრაინისა და ყირიმის ურთიერთობის მოსალოდნელ შეცვლის გამო, ყირიმის მთავრობა მთელი შემადგენლობით გადადგება. შესდგება ახალი სამინისტრო, რომლის სათავეში იქნება სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი (?) და სახელმწიფო საბჭოს წევრი (?)

ოფიციალურად იტყობინებიან, რომ სიმფეროპოლში თათბირი გაიმართა ყირიმის მთავრობის წარმომადგენლებისა და კიევიდან ჩამოსულ გერმანიის დელეგაციის წევრების. ახლო მომავალში გაიმართება მოლაპარაკება ყირიმსა და უკრაინას შორის.

ივლისის განმავლობაში დონის ოლქიდან უკრაინასა და ყირიმში ვაიტანეს 25 მილიონის საქონელი.

**მოსკოვი.** 9—19 ც. ალმ. კომ. ბიულეტენი. შავრაზმელთა სხდომებზე უკანასკნელ ხანებში დიდ მონაწილეობას იღებს ცნობილი მონარქისტი, სახ. სათათბიროს ყოფილი წევრი, ზამისლოვსკი, ზამისლოვსკის გარდა დიდი გავლენა აქვს ამ სხდომებზე ყოფილ სტ-სეკრეტარს კრიჟანოვსკის, სახ. იენისის სათათბიროს კანონპროექტის ავტორს, და სახ. საბჭოს ყოფილ წევრს გურკოს

კიევის საგუბერნიო გამგეობამ ცნობა მიიღო კიევის პალატის პროკურორისაგან, რომ გამგეობის თავმჯდომარე პეტლიურა და გამგეობის წევრი ხიმერიკი ლუკიანოვის საპყრობილეში არიან მოთავსებული და გერმანელების განკარგულებაში იმყოფებიან, რადგან პროკურატურას უფლება არა აქვს გერმანელთა განკარგულებებში ჩაერიონ, ამიტომ შეუძლებელია ზომების მიღება, რომ პეტლიურა და ხიმერიკი განთავისუფლონ.

საარჩევნო კამპანია დაიწყო ბესარაბიის დამფუძნებელი კრებისათვის.

# ახალი ამბავი

**ალბულაღში.** აქ მომხდარ უწესოებისა და სახელმწიფო ქონების დატაცების გამო ამ რაიონის მცხოვრებ გენერალმა წულუკიძემ 1.800,000 მანეთი დაადო ზარალის ასანაზღაურებლად და იარაღი აჰყარა.

**ბაქოში.** განჯიდან მოსულ ცნობებით ბაქოს გარშემო კვლავ ბრძოლა სწარმოებს და ქალაქს ყოველ მხრივ ყუმბარებს ესვრიან.

**დელეგაცია.** ტფილისში ჩამოვიდნენ: ოსების, ჩიჩნების, ინგუშების და ყუბანის წარმომადგენელნი, რიცხვით 60 კაცი, რომელთაც განზრახვა აქვთ ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენელებთან საზავო მოლაპარაკება გამართონ ამ მხარის შესახებ. ამ დღეებში გერმანიის დელეგაციის წინადადებით შესდგება შეერთებული სხდომა საერთაშორისო დამოკიდებულების გამოსარკვევად.

**საგანგებო რაზმი.** სექტემბრის 19-ს ტფილისში დაბრუნდა საგანგებო რაზმი, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში ოჩემჩირესა და სოხუმის რაიონს ოსმალოს ასკერებისა და ბრბოებისაგან იცავდა. რაზმს სასახლესთან შეეგებნენ სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენელნი.

**არსენ მამულაიშვილის დაკრძალვა.** განსვენებულ მოღვაწის არსენ მამულაიშვილის (ლალიონის) გვამს ბინიდან ქვაშვეთის ეკლესიაში გამოასვენებენ დღეს. დაკრძალვა მოხდება ხვალ, დილის 11 საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში

**მისალოცი დეპეშა.** საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს მისალოცი დეპეშა მოუვიდა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა რწმუნებულების მესამე ყრილობისაგან.

**მაიკოპისა და ბელორეჩენსკის აღება.** ამ დღეებში გენ ალექსეევის მოხალისეთა ჯარმა დაიპყრო მაიკოპი და ბელორეჩინსკაია.

**მიმოსვლა ბაქოში.** აზერბეიჯანის მთავრობა იუწყება, რომ ამ დღეებში ბაქოს გზა გაიხსნება და აღდგენილ იქმნება წესიერი მოგზაურობა.

**დონი და ყუბანი.** გერმანიის დელეგაცია იუწყება, რომ დონისა და ყუბანის ოლქი კარგ განწყობილებაშია გერმანელებთან.

**გვამი.** სექტემბრის 19 ორთაჭალაში იპოვეს მამაკაცის გვამი რომლის ვინაობაც გამოურკვეველია გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

**ქურდობა.** სექტემბრის 19 გათენებისას სამხედრო გოსპიტალის ჩარდახი გასტეხეს და მოიპარეს მრავალი სხვა და სხვა ნივთები.

— სექტემბრის 17 ელისაბედის ქ. ოლღა ლუბანსკის ბინიდან მოიპარეს ძვირფასი ნივთები 46000 მ. ღირებული

— სექტემბრის 18 ტატიანა კორნილოვის ბინიდან მოიპარეს ძვირფასი ნივთები 400 მ ღირებული

**ლორისა და ბამბაკის რაიონში.** ოსმალეთის მთავრობამ აღუთქვა სომხეთს ლორისა და ბამბაკის რაიონიდან ჯარებს გაეიყვანთ, ამ ადგილებში სომხები ჯარს არ იყოლიებსო

**დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა: შტაბს-კაპიტანი ხელაევი, პოლკოვნიკი სვირსკი, პორუჩიკი ყოფიანი და პრაპ. მ ქელაძე ჩხუბისა და უწესოებისათვის.

**მკვლელობა.** სექტემბრის 16 ლაზარევის ქუჩაზე ასატურ ტერ ალექსანდროვმა ხანჯლით დასჭრა 4 პოლკის ჯარისკაცი არჩაკ აკალოვი დაჭრილი გარდაიცვალა.

**საქართველოს დამოუკიდებლობა** ბაქაროველის მთავრობამ აქ ჩხენკელისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „სექტემბრის 6-ს რუსეთმა და გერმანიამ რატიფიკაციები გასცვალეს, რომელთა ძალით ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება უკვე ფაქტია. მ გილოცავთ. ჩემი ყოველივე ცდა, რომ ასეთივე ბედი სწვეოდა ჩვენ მეზობლებსაც, უნაყოფო გამოდგა

**ნავთი.** საქართველოში ნავთისა და მაზუთის შემოტანა-გზათა მინისტრს დაევალა. მას მთავრობამ დაავალა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრთან და სახელმწიფო კონტროლიორთან შეთანხმებით მოაწესრიგოს ნავთის მოტანისა და განაწილების საქმე და ხელშეკრულება დადვას აზერბეიჯანის რესპუბლიკასთან. მთავრობის რწმუნებულები ამ დღეებში გაემგზავრებიან ბაქოში.

ნავთსადენის მაგისტრალი ნატანებიდან საქართველოს მთელი რკ. გზის გაყოლებით დაუზიანებელია, აგრეთვე აზერბეიჯანის ტერიტორიაზეც ქიურდამირამდე; ხოლო ქიურდამირიდან ბაქოსკენ დაზიანებულია და ახლო მომავალში შეაკეთებენ.

**დატუსაღება.** საგანგებო რაზმმა შეიპყრო ტფილისის ხაზინის მოსამსახურეები და სხვა პირები, რომელთაც ბრალდებათ ბოროტმოქმედება ჩეკების და „ასიგნოვკების" დახურდავებაში. გამოძიება სწარმოებს.

**სროლა.** სექტემბრის 19 სადგურზე მესამე კლასის ბუფეტში უცნობმა ოფიცერმა ვიღაც ჯიბგირს შეიდჯერ ესროლა რევოლვერი—რომელმაც სამი კაცი დასჭრა და მიმალა.

**დატუსაღება** მილიციის უფროსმა ერთი კვირით დაატუსაღა სუმბათ ხაჩატურიანცი სახელმწიფო ნივთების გაყიდვისათვის.

**ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოებაში.** კვირას 1 საათზე ფრეილინის ქუჩაზე შესდგება ქართ. გერმ. კულტ. საზოგადოების კრება ლექციებს წაიკითხვენ არტურ ლაისტი და ფრიდრიჰ ჰეინე.

**ქართული გერმანულ კულტურულ საზოგადოებაში** კვირას სექტემბრის 23-ს შუადღის (12 საათზე), ქართულ გერმანულ კულტურული საზოგადოება უწინდელ სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში ფრეილინის ქუჩაზე, მართავს ლექციას 1 არტურ ლაისტის ლექცია შესახებ ქართული მოძრაობის ა. წაკითხვა ქართული ლექსებისა ფრიდ ჰეინის მიერ

**ყალბი ფულის მჭედელი** მილიციის წევრებმა არკადის ქუჩაზე № 3 ჯიბლიძის ბინაზე, რომელსაც ყალბი ბონების ბეჭდვა ბრალდება, აღმოაჩინეს სახელო მანქანა საღებავით და ფულის დასაბეჭდი ავტოგრაფიული ქვით.

**ბოროტმოქმედება.** დესიმანოვის ქ. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო რაზმმა რუდაკოვთან აღმოაჩინა 4000 არშინი ბრეზენტი, საქონლის აღმოჩენისას რაზმის წევრს 10 000 მან. ქრთამი მისცეს. რაზმელმა ეს ფული სამინისტროში წარადგინა.

— იმავე რაზმმა 20 ფუთი „ბოლლის" საპონი აღმოაჩინა.

**სახელმწიფო უნივერსიტეტი.** წმინდა მათემატიკის კათედრაზე მოწვეული პროფ. ა. რაზმაძე უკვე ჩამოვიდა მოსკოვიდან

— გამგეობამ ხაზინადრობა დაავალა მდივან-მწიგნობრის ყოფილ თანაშემწეს ივ. გველესიანს.

— პროფ. გ. ახვლედიანი ლეჩხუმს მიემგზავრება დასასვენებლად.

სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი პროფ ვ. მოსეშვილი ქუთაისს მიემგზავრება შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მიერ გ. ზდანოვიჩის სახელობაზე შემოწირულ ქიმიურ ლაბორატორიის ტფილისში გადმოსატანად.

— შენობის გამგე-მეთვალყურედ მოწვეულ ა ანტონ თელქრელიძე.

საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად ალ ჯანელიძე საფრანგეთს მიემგზავრება სამეცადინოდ—პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

# სამეგრელოში

დღეს ცნობები მოდის, რომ ბევრს სოფელში ახლად გაყვანილ ტელეფონის მავთულებს სჭრიან. ხალხი თავს არ იწუხებს, და მიუხედავად ბრძანებისა ყარაულებს არ აყენებს მავთულების დასაცავად. . ეს . გარემოება რამდენადმე აფერხებს სამხედრო მოქმედებას.

ჩამოიყვანეს სენაკს ზუგდიდის მაზრის სოფელ პიას მცხოვრებნი გიორგი შონია და კონდრატი დოგაიძე, რომელთაც მონაწილეობა მიუღია რედუტ-ყალეს გაძარცვაში. დაპჭერილნი არიან სხვებიც

უკანასკნელის ცნობით სექტემბრის 5-ს, საღამოს, პარტიზანულ პოლკის მეორე ნაწილს სოფელ კირცხში შესვლა მოუსწრია. გზად გავლისას სოფ. ლესი ჭინოში დაუმყარებია წესიერება, ჩამოურთმევია ხალხისთვის 21 თოფი და ახალი ადმინისტრაცია დაუყენებია შეუპყრია აჯანყების ერთი მეთაური

საღამოს 5 საათზე ზუგდიდიდან სენაკს ჩამოდის თავზარდაცემული დელეგაცია მცხოვრებთა თხოვნით ჯარს მიშველებას და ტყვია-წამალს ზუგდიდში მდგომ რაზმისათვის მათი სიტყვით წინა ღამეს ზუგდიდს ბოლშევიკური ბრბო მოადგა და სამინელი სროლა ასტეხა. ... ნაადმდეგობა გაუწია ... ლობრივმა რაზმმა და რეგულიარულ ჯარის მცირე-რიცხვოვანმა ნაწილმა. სროლამ დილის 6 საათამდე გასტანა, ამის შემდეგ ბრბო გაიფანტა. დილას რომ არ მოესწრო, ბრბო ქალაქში შემოვიდოდა, რადგანაც ზუგდიდის დამცველთ ტყვია-წამალი შემოაკლდათ. ბრბოს მიზანია ქალაქში მცირე ხნით შესვლა და მისი გაძარცვა, დელეგატები იროწმუნებიან, ძნელია, რომ დღეს გადარჩეს ქალაქი.

მცოდნე პირთა ცნობით ის ძალა რომელიც ზუგდიდშია, სრულიად საკმარისია ამ ქალაქის დასაცავად, რადგანაც ბრბოს ძალა გამოანგარიშებულია და მათი „ვაჟკაცობაც" გათვალისწინებულია.

საერთოდ ბრბოს გამოჩენა ზუგდიდთან მოულოდნელი არ არის ამიტომაც იქ რეგულიარული ჯარის ნაწილიც წინადვე იყო გაგზავნილი იქაურ რაზმის მისაშველებლად.

სამხედრო გეგმა, რომელიც გენერალმა ი. გედევანიშვილმა შეიმუშავა და რომლის მიხედვითაც მოქმედებენ სამეგრელოში მყოფი ჯარები და რაზმები, ასეთია:

ზუგდიდში რჩება იმდენი შეიარაღებული ძალა, რამდენიც საჭიროა ქალაქის დასაცავად და არა ბრბოს საბოლოოდ დასამარცხებლად. დანარჩენი ჯარები ასეულებად იყოფიან და გარს ერტყმიან სამეგრელოს, გზა-გზა წესიერებას ამყარებენ სოფლებში და ნელნელ ცენტრისაკენ, სახელდობრ ზუგდიდისაკენ მიიწევენ მტკიცე რგოლად, რომელიც იმდენად უფრო ვიწროვდება, რამდენადაც უახლოვდება ზუგდიდს. ბოლოს და ბოლოს ურჩი მეთაურები აჯანყებისა ამ რგოლში უნდა მოჰყვნენ, ან და ტყე-ტყე გაიპარონ მთებში მთელი ჯარი საბოლოოდ თავს იყრის ზუგდიდში.

ზემოხსენებული რგოლი ჯარებისა ამ ჟამად საკმაოდ დავიწროვდა და სრულიად ბუნებრივია ის, რომ სოფლებიდან დევნილი ბრბოები ცენტრისკენ მოისწრაფიან, რომ ჯარების მოსვლამდე როგორმე შეიჭრნენ ზუგდიდში და ნადავლით მოასწრონ მთებში გაქცევა

ვნახოთ რას იტყვის ხვალინდელი დღე?

**სექტემბრის 7.**

გენ. გედევანიშვილი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. ცნობა მოდის, რომ იგი დაბანდებულია ... საქმეთა გამო.

აგრეთვე ცნობა მოდის, რომ სექტემბრის 5 ღამით შეტაკება მოსვლია მთავრობის ... და ბრბოს ... კულისკარში, ოზურგეთიდან 6 ვერსის მანძილზე.

შუადღისას ირკვევა, რომ წინა ღამით ზუგდიდში აღარ გამეორებულა ბრბოს დაცემა და სროლა. ამას გარდა პარტიზანულ პოლკს ზოგიერთ ნაწილს უკვე დაუჭერია პირდაპირი, სატელეფონო კავშირი ზუგდიდთან. ასე რომ მცირე გასაჭირის დროს, რაიც შესაძლებელია, პარტიზანები სწრაფად დაეხმარებიან ზუგდიდს.

---

რეობას მარქსიც ხედავდა მესამე ტომის მეორე წიგნში, როცა იმეორებდა: „კაპიტალისტურ მეურნეობის წესი **მხოლოდ ნელა და უსწორ-მასწოროდ** იპყრობს სოფლის მეურნეობას, რაიც თვალსაჩინოა კაპიტალისტურ ქვეყნის ინგლისის მაგალითით" **)

კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიის მამათმთავარი ად. სმიტი საბაზრო ნივთების ბუნების სხვა მხარეზედაც მიაქცევს ჩვენს ყურ დღებას. სმიტი გადამუშავებულ (უმთავრესად ქალაქის) ნაწარმოების ფორმაშიაც ხედავს ერთგვარ უპირატესობას. „ვინაიდან მანუფაქტურული ნაწარმოები—ამბობს ად. სმიტი—დიდი ღირებულობის დროს პატარა ზომის არის, ამის გამო მისი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე უმეტესი ნაწილი გადაუმუშავებელ, უმი ნაწარმოებისა" (უმთავრესად სოფლისა).[55]) ამ გარემოებას თუ ჩაუკვირდებით და გავსდევთ მსჯელობის და კაპიტალისტურ მეურნეობის კანონებს—ადვილად შევამჩნევთ, რომ ქალაქის ნაწარმოები უმთავრესად მსოფლიო ბაზრისათვის იქმნებიან, ამისათვის მას ხელს უწყობს ყოველი გარემოება, როდესაც სოფლის ნაწარმოების ბუნება ასე დაკავშირებული სრულიადაც არ არის გარეშე ბაზართან. სმიტი ამ მოვლენის შესახებ გვეუბნება: „გადამუშავებული ნაწარმოები (ინდუსტრიისა—თ. ღ.) უფრო დიდ ბაზარს მოითხოვს, ვიდრე უმნიშვნელოესი ნაწარმოები მიწისა".[56]) თავის თავად ცხადია, რომ თუ ქალაქის მრეწველობის მიზანი უმთავრესად მსოფლიოს ბაზარია, ამ ბაზრის მთელი ცხოვრება უდიდეს გავლენას ახდენს ქალაქის მრეწველობაზე, ინდუსტრიაზე. წინააღმდეგი უნდა ვსთქვათ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე, რომელიც იმდენად ნაკლებად არის ბაზარზე დამოკიდებული, რამდენადაც მეტად დამოკიდებულია მასთან ქალაქის ნაწარმოები. სმიტი გარკვევით გვეუბნება: „მიწადმოქმედება ბაზრის სივიწროვეს უფრო ადვილად იტანს, ვიდრე მრეწველობა".[57]) რასაც ის გარემოება ამართლებს, რომ სოფლის ნაწარმოების ბაზარს და საზოგადოდ ბაზრის საკმაო, ხშირად უმთავრეს ნაწილს ის ხალხი წარმოადგენს, რომელიც მეურნეობაშია ჩაბმული. აშკარაა კაპიტალისტურ მეურნეობის თვალსაზრისითაც სოფლის მეურნეობა სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე ქალაქის გადამუშავებული მრეწველობა „ყველაზე უმახლობელეს და მეურნეობის უფრო პატარა ბაზრებს ის მცხოვრებნი შეადგენენ, რომელნიც ქმნიან ნაწარმოებს—ამბობს ედ. დავიდი—**ეს უდიდესი და უნივერსალური ადგილობრივი ბაზარი** საშუალებას აძლევს სოფლის მეურნეობას საგანგებო ნაწარმოებთან ერთად, რომელიც შორეულ ბაზრისათვის არის დანიშნული, სასარგებლოდ გადასცვალოს ისეთი საქონელი, რომელიც შეიძლება სასარგებლო არ ყოფილიყო მსოფლიო ბაზრის თვალსაზრისით, მაგრამ რომლის მოსპობა ტეხნიკურ თუ ბუნებრივ პირობების გამო არ შეიძლებოდა...[58]). არც ერთი ეს პირობა ქალაქის მრეწველობისათვის არ არსებობს. სოფლის მეურნეობის საფუძველი უფრო გარკვეულია და მტკიცე, ინდუსტრიისა კი ბურუსით არის მოცული. მრეწველობა ეყრდნობა შემთხვევას, წუთის კონიუნქტურას, ბაზრის მოძრაობას, აჟიოტაჟს, სპეკულიაციას, ავანტიურას. სოფელში მეურნე იმდენად შეჰყურებს თავის საქმეს, მინიმუმი მუდამ ხელთ აქვს და გარედ გაიხედავს მხოლოდ მაქსიმალურ სარგებლის მიღებისათვის. შორეული ბაზარი, კოლონია მრეწველისათვის უდიდეს სარგებლის თავდებია. ინგლისელი მრეწველი სიამოვნებით მიეშურება ინდოეთში, აფრიკაში, ავსტრალიაში, მაგრამ თვით დაწინაურებულ მეურნეობის ქვეყანა—დანია თავის ბაზრად ხდის ინგლისს, შოტლანდიას, საფრანგეთს და არა აფრიკას და ავსტრალიას. მართალია ციმბირელ მეურნეთ დიდძალი ერბო გააქვთ ევროპასა და კერძოდ ინგლისში, მაგრამ არის მთელი რიგი ნაწარმოები, რომლის გადატანა ან სახიფათოა, ან პირდაპირ შეუძლებელი შორეულ ადგილას ცოცხალი ვარდი, უმი რძე, ბოსტნეული, ხილი—ვერ აიტანს შორეულ ბაზრისათვის საჭირო მოძრაობას და დაყოვნებას. გადატანის ხანაში ასეთი ნაწარმოები შეიძლება დალპეს, დალპეს, დატყდეს, რაიცა ღირებულებას დაუკარგავს საქონელს. ამიტომ სოფლის მეურნის თვალი იმდენად დაშორებულია მსოფლიო ბაზარს, რამდენადაც დაახლოვებულია ვაჭრის თვალი. ამ შემთხვევაში მათ შორის დიამეტრალურად წინააღმდეგი ინტერესი და მიზანია, რასაც მთელ ეკონომიურ ძალთა განწყობილებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის ნაწარმოების ტრანსპორტაბელურ ხასიათს სათანადო ყურადღება მიაქცია მეცრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის უდიდესმა ეკონომისტმა ფონტიუნენმა,*) მაგრამ რკინის გზის წყობილებასთან უფრო დაწვრილებითი ანგარიში მოგვცა კრაფტმა. კრაფტის ანგარიშით ნაკელის გადატანა შეიძლება 160 კილომეტრით, შაქრის ჭარხლის—400 კილომ., კარტოფილის—600 კილ., თივის 800 კილ., რძე—1,600 კილ., ჭვავი, ქერი და შვრია—3,000, პური—40,000, სელი—18,000, ერბო 40,000, მატყლი—84,000.**) ტიუნენის კონცეტრიულ და კრაფტის ანგარიშის სურათები სრულიად უცნობია ინდუსტრიალურ კაპიტალიზმისათვის. რამდენადაც ხსენებულ სურათებს დიდი ადგილი აქვს სოფელში, იმდენადვე განსხვავდება სოფლის ეკონომიკა ქალაქის ეკონომიკისაგან. ეს სხვაობა სოფლის საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას თავისებურ პირობებში აქცევს და ქმნის ორიგინალურ ურთიერთობას სოფლის კლასებს შორის, სოფლის კლასიურ ელემენტებს, მათ ურთი-ერთობას ქალაქი არც იცნობს და ვერც წარმოიდგენს. „სოფლის მცხოვრებთ ამბობდა ად. სმიტი—რომელნიც დაქსაქსულნი და გაფანტულნი არიან უძნელდებათ ერთმანეთში შეთანხმება. იმათ არა თუ არ შეუქმნიათ ხელოსანთა ამქრის მაგვარი ორგანიზაცია, მათ კორპორატიული სულიც არ ქონდათ გაცნობილი".[1]) სმიტს მხედველობაში ქონდა უმთავრესად მეურნემწარმოებელთა კავშირი, მსგავსად კაპიტალისტების ორგანიზაციებისა და მართლაც, სოფელში იმდენად სუსტია კაპიტალისტ-მეურნეთა კავშირი, რამდენადაც ძლიერია ქალაქში. ეს გარემოება თვით სოფლის მეურნეობის სახეობისა და სოფლის ძალთა ურთი-ერთობისათვისაც დიდ მნიშვნელოვანია. ინდუსტრიაში მსხვილი წარმოება ჩაღდება კაპიტალისტების კავშირის შემწეობით, ასეთი კავშირი იშვიათია მიწად-მოქმედებაში, ამიტომაც არის, რომ სოფლად ისე მძლავრად არ არის დაპირისპირებული მოწინააღმდეგე კლასები, როგორც ქალაქში. სოფლის გლეხკაცობა კომპაქტური დიდი მასსაა. მათ შორის დიდი სოციალური ერთობა სუფევს და ამ მხრივ სოფლის დემოკრატიის ძალა მეტია ქალაქის დემოკრატიის ძალაზე. ხოლო სოფლის მაგნატების წინააღმდეგობაც უფრო სუსტია ქალაქის წურბლებთან შედარებით. რაკი სოფლად შრომის დროშა მაღლა სდგას და კაპიტალის დროშას ჩრდილავს, რაკი სოფლად შრომის ხალხს შორის მეტი ერთობაა, ქონებრივი თანასწორობაა, ამიტომ შრომის ინტერესების დაცვას მეტი ადგილი აქვს სოფელში, ამიტომ სოციალურ-ეკონომიურ თანასწორობას, ჰარმონიას ... ტი ნიადაგი აქვს, ვიდრე ... სოფლის ძალებში—ამნაირად ... ციალისტური ენერგიაა დაგ... იგი ენერგია უნდა გავრცელ... ზედაც, წარმოების ყოველ... რომ აგრარულ კაპიტალიზ... ვებზე აღმოცენდეს საზოგად... წორი და თავისუფალი ... წეს წყობილება.

... ცნობილიწე ... ჯანის და ... ის საქართ ... ების ... არ

**) იხ. მარქსის „კაპიტალი" ტ მე 3, წიგნი მე 2, გვ 212.

[55]) იხ. სმიტი, თხზ., ტ 2, გვ. 599

[56]) იხ. სმიტის თხზ ტ 2, გვ 601.

[57]) იქვე, გვ. 602.

[1]) იხ, Смитъ, ტ. I, გვ. 220

*) ამ წუთში ტიუნენის შესანიშნავი თხზულება—„Изолированное государство"—ხელთ არა გვაქვს. ტიუნენმა თავის აბსტრაქციით დიდი სინათლე მოჰფინ რენტის საკითხს და ბაზრის პირობებსაც ვრცლად შეეხო, რასაც აერთოდ სავსებით ვინაილებთ.

**) იხ. Фортунатовъ „Страницы экономики и статистики сельск. хоз. გვ. 43.

### სექტემბრის 8.

ახალსენაკი უკვე დამშვიდებულია. ცხოვრება ჩვეულებრივს კალაპოტშია ჩამდგარი და მცხოვრებნი განაგრძობენ თავიანთს ყოველს დღიურ მუშაობას. დამშვიდებულია და უკვე განწმენდილია ბრბოებისაგან სენაკის მთელი მაზრაც. ზუგდიდის მაზრიდანაც კარგი ამბები მოდის: სოფლებში მოდებული ჯარები მიზანს აღწევენ და მოძმის სისხლის დაუღვრელად ასრულებენ იმ საპასუხო დავალებას, რომელიც ნორჩი რესპუბლიკის მთავრობამ დააკისრა, სოფლად ისეთი პირობები იქმნება, რომ თვით ესტატე ცხომარიაც კი იძულებული ხდება იარალი დაჰყაროს თავის ამალით და სამსჯავროს წინაშე წასდგეს. ამ ცხომარიას ჯარი ისევ ათავისუფლებს სასოფლო საზოგადოების თავმდებობით. იგი ალთქმას სდებს, რომ არამც თუ ხელს არ შეუწყობს უწესოებას, პირიქით მთელის არსებით ფხიზელ დარაჯად დაუდგება ხალხის მშვიდობიანობას და დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებას. ამ ალთქმას იგი ჯერ-ჯერობით პირნათლად ასრულებს.

უკვე სჩანს ცხადი ნიშნები იმისა, რომ სამეგრელოს მოლრუბლული ცა იწმინდება და ჩქარა უნდა გამოანათოს სიმართლის მზემ. ხალხი ამას გრძნობს და მოთმინებით ეწევა ცხოვრების მძიმე ჰაპანს.

ჩვენს მამაც პარტიზანებს თავისი ძლიერი სურვილი უსრულდებათ და სიხარულს ეძლევიან, რომ მათი ტყვია, რომლის დანიშნულებაც არის ჩვენის ქვეყნის მტრის მოგერიება, ჩვენსავე მოძმეს არ მოხვდა.

ეს სიხარული კი თურმე ხანმოკლე ყოფილა. დღეს ელვის სისწრაფით ვრცელდება ხმა ჩვენის დაუვიწყარ ამხანაგის კაპიტანის არჩილ საყვარელიძის ვერაგულად მოკვლის შესახებ. ეს ამბავი ყველას მოზხამულ ლახვარივით გვესობა გულში და თვალწინ გვიდგას ნათელი სახე წყნარის, ჩუმის და ყოველ მხრივ საჭირო და სასარგებლო არჩილისა. მკვლელობის ამბავი რედაქციას უკვე აცნობა ჩვენმა ერთმა ამხანაგმა. ამიტომ აქ მე ამ ჟამად აღარას ვიტყვი, მით უფრო, რომ ეს ეპიზოდი ჩემთვის ცალკე წერილის საგანს შეადგენს.

აღვნიშნავ მხოლოდ რომ ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება სოფ. ყულისკარი, სადაც ხალხის მტრებმა ასე შეუბრალებლად მოსპეს ლამაზი სიცოცხლე ხალხის მოყვარულისა და სამშობლოს თავისუფლებისთვის მუდამ მკვნესარ ადამიანისა.

არა ერთხელ უთქვამთ გენერალ ი. გედევანიშვილისთვის:

— სოფელი არ გადასწვითო?

— არა,—უპასუხებს გენერალი.

— რატომ?—გაკვირვებით კითხულობენ.

— იმიტომ, რომ ეს არ ეკადრება განსვენებულის ხსოვნას,—მოკლედ უპასუხებს ი. გედევანიშვილი.

### სექტემბრის 9.

ჯარები წინ მიიწევენ. სენაკი უკვე საგრძნობლად შორდება სამხედრო მოქმედების ასპარეზს. ამიტომ გენერალ ი. გედევანიშვილის შტაბი სენაკიდან ზუგდიდს გადადის.

ამ დღეს ჩვენმა ორმა პარტიზანმა ზუგდიდის ბულვარზე შეიპყრო მდიდრულად ჩაცმული ერთი ჩოხოსანი, ვინმე აბრამია, რომელშიაც იცნეს არჩილ საყვარელიძის მკვლელობაში მონაწილეთაგანი. მას თავდაცემის დროს სხვა ტანისამოსი სცმევია.

ამავ დღეს დაიჭირეს სოფელ კორცხელის მცხოვრებნი, აჯანყების აქტიური მონაწილენი ძმანი რაფავაები (სამნი). ერთს მათგანს არჩილ საყვარელიძის მოკვლაში მონაწილეობის მიღებაც ბრალდება.

ამავ დღეს ცნობა მოდის, რომ სენაკის სამხედრო-საველე სასამართლოს მოწმეთა დაკითხვის შემდეგ სრულიად გაუმართლებია აჯანყების ერთი მეთაურთაგანი, ძველი პროვოკატორი და პოლიტიკური მაძებარი ნესტორ ჯოჯუა. გარნიზონის უფროსმა ეს განაჩენი არ დაამტკიცა და პატიმარი ზუგდიდში გამოგზავნა.

### სექტემბრის 10.

[illegible] კოხტა და კოპწია ზუგდიდს [illegible]ა ეტყობა, როგორც საერ[illegible]ობის გარდაია ჩვენს დაბა-სოფელს და [illegible]ფორმები ქა[illegible]ქებსა. ქუჩები უსუფთაოა. [illegible]ტურ წარმო[illegible] ბულვარი მივიწყებული და მხრივ [illegible]ლია. „თავისუფლების“ მოყ[illegible]თ არც აქაური სახალხო გა[illegible]ნეობის კაპიტალი[illegible]ურიც თავის უზარმაზარ [illegible]ტური ფორმა [illegible]ეს იმდენად გა[illegible] თვალწინ გიშლით [illegible]ს ბუნების ველუ-

რობისა და საკუთარ სარგებლობის შეუგნებლობისა. ეს სასახლე წინად თ-დის მინგრელსკის ეკუთვნოდა. მისი მემკვიდრე ამ ომიანობის დროს რუსეთს წასულა და ეს ფასდაუდებელი ქონება უპატრონოდ დარჩენილა. იმის მაგივრად, რომ ამ ქონებისთვის მოევლოთ და საზოგადოებრივ საკუთრებად გადაექციათ, ხელი მიუყვიათ მის გაძარცვისთვის. კიდევ კარგი, რომ სასახლის ქონება რამდენადმე დაუცავთ ზუგდიდის მესვეურთ და მშვენიერ ბაღის ბედი აუცილებიათ სასახლის ძვირფას მოწყობილებისათვის. სასახლე ამ ჟამად დაბეჭდილია, ხოლო ბაღში თავისუფლად დანავარდობს სხვა და სხვა საქონელი.

დღეს სახალხო გვარდია სამურზაყანოთი სოხუმისკენ მიემგზავრება. მდინარე ენგურზე მას დაბრკოლება ხვდება. მდინარის მეორე ნაპირას ჩასაფრებულნი არიან აჯანყებულნი, გვარდიას ტყვიას ესვრიან და საშუალებას არ აძლევენ მდინარეზე გადასვლისას. გვარდიელები დილით დაწყობილი საღამომდე ზარბაზნებს ისვრიან. მთელი დღე მოისმის ამ ზარბაზნების ხმა ზუგდიდში. საღამოს ცნობა მოდის, გვარდიამ როგორც იყო, შესძლო მდინარის გადალახვა და სამურზაყანოში ფეხის შედგმაო.

### სექტემბრის 11.

გედევანის რაზმი,—ასე ეძახიან აქ ი. გედევანიშვილის პარტიზანულ პოლკს—გულდათუთქულია ძვირფას ამხანაგის არჩილ საყვარელიძის დაკარგვით, მაგრამ ოდნავადაც არ ფიქრობს, შური იძიოს ვისმეზე და რეპრესიები გააძლიეროს ხალხში. ამ პოლკის პრინციპი თავიდანვე ის იყო და არის, რომ ბრძოლის დროს უკან არ დაიხიოს და სიცოცხლის დაუზოგველად ეკვეთოს იარაღით მოსულ შინაურს თუ გარეშე მტერს, ხოლო იარაღ დაყრილს და დამორჩილებულ მტერს ხელი არ ახლოს და თავის კანონით არ გაასამართლოს.

— ჩვენ მეომარნი ვართ და არა ჯალათნი,—ამბობენ ჩვენი პარტიზანები. სანამ ბრძოლაში ვართ არავის დავზოგავთ, ხოლო როცა იარაღს დაყრიან და დაგვნებდებიან, მაშინ ის-ღა გვრჩება, რომ დამორჩილებულნი სასამართლოს გადავსცეთ და მისი სიცოცხლე დავიცვათ ვისიმე კერძო გასამართლებისაგან. თუ დამნაშავეა, დაე სასამართლომ დასაჯოს. „სამოსუდები“ კი ყოვლად უაზრო საშუალებაა, რადგანაც ბევრს აფიქრებინებს, რომ ამა და ამ პატიმარს არაფერი ბრალი არა ჰქონია, დასჯა კი ნდომებია რაიმე პირადის ანგარიშით და ამიტომ აღარ მიიყვანეს სასამართლომდე, რომელსაც შეეძლო პატიმრის გამართლებაო, ამას გარდა,—განაგრძობენ პარტიზანები,—სასამართლოს მიერ დადებულ სასჯელს სხვა მნიშვნელობა და გავლენა აქვს ხალხშიო.

ამით აიხსნება, რომ ჩვენს პარტიზანებს ხელი არ უხლიათ იმ პატიმრებისთვის, რომელთაც არჩილ საყვარელიძის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ბრალდებათ, ან კიდევ ამ მონაწილეთათვის ხელის შეწყობა

— დაე, მართლმსაჯულებამ სთქვას თავისი სიტყვაო,—იძახიან ჩვენები.

ესე პრინციპი ხელს უწყობს ჩვენის მთავრობის ავტორიტეტის განმტკიცებას. ხალხი რწმუნდება, რომ ჯარი თავის ნებით და სურვილით კი არ დაიარება სოფლიდ, არამედ იგი გამოგზავნილია კანონიერ მთავრობისაგან, რომელიც იცავს წესიერებას და სამართლიანობას და რომელიც ნებას არ აძლევს არავის, რომ ვინმე გასამართლებულ იქმნეს ვისიმე კერძო ინიციატივით.

— ახლა კი გავიგეთ, რომ გვყოლია მთავრობაო,—იძახის ხალხი. აქამდე ჩვენი მომხედავი არავინ იყო და ყველა გვბატონობდა, ვისაც სურდაო.

ი. გედევანიშვილის პოლკის მოსვლამდე სამეგრელოში ბევრი სხვა და სხვა რაზმი ყოფილა მთავრობის დავალებით. მიუღიათ რეპრესიებიც, მაგრამ თუ ერთს ადგილას ამას მოჰყოლია ანარქიის მინელება, სამაგიეროდ რამდენიმე სხვა ადგილას ამ ანარქიას უფრო მეტის სიძლიერით უფეთქნია.

თუ ამ საერთო ქაოსში ვინმე ყოფილა ისეთი, რომ განუზრახავს ქედის მოხრა მთავრობის წინაშე, მას ეს ვერ გაუბედნია, რადგანაც ეშინოდა, ვაი თუ სასამართლომდე ვერ მივაღწიო და გზაზე მომკლანო.

საჭირო იყო, ეჩვენებინათ ხალხისთვის, რომ არის მთავრობა. რომელიც კერძო ინტერესით კი არა, სახელმწიფოებრივ მოსაზრებით ხელმძღვანელობს თავის მოქმედებაში; რომ ეს მთავრობა სამართლიანია და ავსა და კარგს ერთად არ ათავსებს.

საჭირო იყო ისიც, რომ ხალხს ეგრძნო მთავრობის ძალა, რომელსაც დაეყრდნობოდა იგი და ანგარიშს გაუწევდა. ბევრს კი პირიქით გულწრფელად სჯეროდა ბოლშევიკების ნათქვამი, რომ მთავრობას ძალა არ აქვს, იგი დამარცხებულია და ტფილის-ქუთაისი უკვე ბოლშევიკების ხელშიაო.

ამის საბუთებს ხალხს თითქოს მთავრობაც აძლევდა. გაგზავნიდა ერთს რომელიმე მცირე რაზმს სამეგრელოში და ელოდა ქვეყნის დამშვიდებას. ეს რაზმი თუ ერთს რომელიმე სოფელში შევიდოდა და ხალხს მთაგონებდა მთავრობის არსებობას, სამაგიეროდ მრავალი სოფელი, სადაც უფრო თავმოყრილნი იყვნენ ბოლშევიკური ბრბოები, ვერც ამ რაზმის მოსვლას იგებდა, ვერც წასვლას.

გენერალმა ი. გედევანიშვილმა, რომელსაც პარტიზანულ პოლკის გარდა სხვა ჯარებიც დაუქვემდებარეს, სულ სხვა გზა აირჩია. მთელი ჯარი ნაწილებად დაჰყო და ერთსა და იმავე დროს სამეგრელოს სხვა და სხვა სოფელში გაგზავნა. უპირველესად ჯარმა ფეხი შესდგა ყველა მნიშვნელოვან პუნქტში. ასე რომ მთელმა სამეგრელომ ერთსა და იმავე დროს იგრძნო მთავრობის ძალა. ერთხანად შეშფოთდა კიდეც და დიდს რეპრესიებს ელოდა, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ მთავრობის ძალა აქვს, მაგრამ ხალხის გასრესა არ სურს.

ჯარის დანახვაზე სოფლებს უცებ გაშორდნენ მავნე ელემენტები, და მოიწადინეს ერთად თავის მოყრა და საწინააღმდეგო გეგმის შემუშავება, მაგრამ ამაოდ. მათ ყველგან გზები შეკრული ჰქონდათ, და გათიშულნი იყვნენ ერთი-მეორისაგან. ამის შემდეგ მათ დაიწყეს აქეთ-იქით მცირე ჯგუფებად სიარული და იმაზე ღა ფიქრობდნენ, როგორ გადარჩენოდნენ დამსახურებულს სასჯელს.

ჩვენი ჯარები ხალხს ერთის მხრით ძალას უჩვენებდნენ და მეორეს მხრით არწმუნებდნენ, რომ ისინი მოტყუებულნი არიან ჩვენის ქვეყნის მტრებისგან

არ ვიცი შემდეგ რა მოხდება, მაგრამ ახლა კი ასეთმა პოლიტიკამ კეთილი ნაყოფი გამოიღო:

ხალხმა ყველა მოთხოვნილება შეასრულა. სასადათოები გამოიყვანა, ახალი ადმინისტრაცია აირჩია და იარაღიც დაჰყარა. იარაღი დაჰყარეს აჯანყების იმ მეთაურებმაც, რომელთაც ცოტად თუ ბევრად თავიანთი თავი იდეიურ ბოლშევიკებად მოჰქონდათ, მთავრობის წარმომადგენელთა სიტყვებმა სახალხო ყრილობებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა ვეღარ იცნობს კაცი იმ ხალხს, რომელიც ამ ერთის კვირის წინად სულ სხვა სამოსში იყო გამოხვეული. ხალხის ფსიხიკაში კრიზისი დადგა. თუ ჩვენს პირველ მისვლისას ისინი ძალიან ეჭვით გვიყურებდნენ და მათს თვალებში გამოსჭვიოდა აშკარა სიმპატია ბოლშევიკებისადმი, ახლა ისინი დარწმუნდნენ, რომ მოტყუებულ იქმნენ ქვეყნის ნაძირალებისაგან; დარწმუნდნენ ამაში და თავიანთს თავმოყვარეობას შელახულად გრძნობენ, ვილაც ნაძირალებმა როგორ შეგვიყვანეს შეცდომაშიო.

„ბოლშევიკური მოძრაობა“, როგორც ასეთი, უკვე დასრულებულია სამეგრელოში. მართალია, დარჩა ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირი, რომელიც კიდევ დათარეშობს, მაგრამ ესენი არიან წმინდა ყაჩაღები, რომელთაც თავი მოიყარეს წალენჯიხისა და ჯვარის რაიონში, ე. ი. მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირს საერთოდ ამ რაიონში ჯერ არ გაუვლია ჯარს. ამ ორს დღეში აქაც გაივლის ჩვენი პარტიზანული პოლკი და ამით კიდეც დასრულდება სამხედრო მოქმედება სამეგრელოში. ამის შემდეგ საჭირო იქნება მხოლოდ წმინდა საადმინისტრაციო მუშაობა, როგორც ამ კუთხის წესიერ მართვა-გამგებლობისთვის, ისე იმ ზოგიერთ ნაძირალას ასალაგმავად, რომელიც კიდევ დარჩება სამეგრელოში და რომლის დევნაც ჯარის საქმე არ არის.

ამ ჟამად სამეგრელოში დათარეშობს მხოლოდ ორი ბრბო ყაჩაღებისა. ერთს ბრბოს განაგებენ ვინმე კვარაცხელია და ფიფია, მეორეს კი დათიკო ხვითია და ქანთარია. პირველი და მეორე ბრბო ერთმანეთს გათიშულნი არიან და ცალცალკე დაძრწიან

განსაკუთრებით თავზე ხელაღებულია ხვითიას ბრბო, რომელმაც სხვათა შორის, არჩილ საყვარელიძის მკვლელში მიიღო მონაწილეობა ამ ხვითიას წარსული მეტად შავი და ჭუჭყიანია. მისი მამა 12 შვილის პატრონი ყოფილა. მამას იმდენი უწვალნია, რომ ყველა შვილისთვის სწავლა მიუცია, ზოგისთვის უმაღლესიც. სასწავლებელში არ დამდგარა მხოლოდ ეს დათიკო ხვითია და სოფელშივე დაბრუნებულა. თავისი მოღვაწეობა ახალგაზრდა ხვითიას იმით დაუწყია, რომ მამისთვის ცხენი მოუპარავს და სადღაც გაუყიდნია. შემდეგ მოუპარავს მეზობლებისთვისაც და შესდგომია პროფესიონალურ ქურდის ხელობას. ახლა კი ეს ხვითია სოფელს მოევლინა ბოლშევიკების სამოსელით.

რ. ბ—ლი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.


**ოჯახში** ვიყვანთ ყმაწვილებს ორივე სქესისა შეხანახად ხელმისაწდომ ფასებში. მორიგება და პირობები სახლში. ნახვა შეიძლება ყოველ დროს. მისამართი: პეტროვის ქუჩა, პეტროვის ტუპიკი № 6 ა. აბაზოვი. 2087

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ზ. გ. მეჯრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის ღუზი ვენის ტიპისა, ლოდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 1—92. 483

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმ** ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტი წამლობა რენტგენის სხივები და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექის ავადმყოფობა. ავადმყ მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

**ექიმი** ქალი ა. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. გრიბის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5037

**ექიმი** კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმმა** დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სთ. 5—6 კვირის გარდა. ოლღის ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

**ექიმი** წულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ტელ. 11—35. 2001

**ექიმი** გ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი** მ. ბ. ვეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5^{1}/_{2}$ საათამდე ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქ. № 19. 992

**ექიმი** ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საგკრებულოს საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი ვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1038

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე [illegible] ლურად მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვის, [illegible]ბით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

**ექიმი** კამლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—2 ს მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი № 14. 0190

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 3 1304

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი** ი. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტროდილის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო. მუდმივი სამკ. ლით ექიმ დონხიძისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

[illegible] სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ბ. აგასართვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი

კერძო სამკურნალო
სპეციალისტ ექიმებისა
მომსვლელ ავადმყოფთათვის
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე შემდეგ ექიმების მიერ:
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. მ. რეკვავა შინაგანი ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა.
მისამართი: ერეკლეს ქ № 6 ვეზირხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2019

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა
პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები
ორივე სქესისთვის წლოვანობის განურჩევლად
ალ. გ. საათაშვილისა
ბუხჰალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. ახალი მეთოდით 4 თვიანი კურსის შესწავლა შეიძლება 3 თვეში. წესდების გაგება და ჩაწერა კურსებზე ყოველ დღე შეიძლება დილის 9—2 საათამდე და 5—8 საათამდე. ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (წყნეთის ქუჩასთან ახლოს 1-ლი უბანი) ტრამვაის ვაგონი № 5 და 9. 2052